1 ნოემბერი

ყველაწმიდას დიდდღესასწაული, [ს], თ

2022 სამშაბათი

გამოცხ 7,2-4.9-14; ფს 23; 1იო 3,1-3; მთ 5,1-12

ნეტარ არიან მოწყალენი, ვინაიდან ისინი შეწყალებულ იქნებიან მთ 5,7

მეც მჭირდება წყალობა, ყოველდღე. სად ვნახავ მას? სხვებთან ერთად თუ მივიღებ და გავცემ მას, არ მომაკლდება. ამას მეუბნება ყველა წმიდანი, ვინც დღეს ანგელოზებთან ერთად ადიდებს ღმერთს. ისინი ყველა მიტევებული ცოდვილნი არიან. წყალობა მიიღეს, რადგან ათასგვარად, დიდი ფანტაზიით გაიღეს ის!

2 ნოემბერი

მოხსენიება ყველა მორწმუნე მიცვალებულისა, [ს], ი

2022 ოთხშაბათი

წირვა 1: იობ 19,1.23-27; ფს 26; რომ 5,5-11; იო 6,37-40
წირვა 2: ეს 25,6.7-9; ფს 24; რომ 8,14-23; მთ 25,31-46
წირვა 3: სიბრძ 3,1-9; ფს 41; გამოცხ 21,1-5.6-7; მთ 5,1-12

ჩემთან მოსულს
გარეთ არ გავაძევებ იო 6,37

ვინც იესოსთან მიდის, საფრთხე არ ემუქრება. ის მყარად გვპირდება ამას. დღეს მივდივართ მასთან და თან მიგვყავს ჩვენი ახლობლები, ისინი, რომლებმაც აგვიტანეს და ისინი, ვინც ავიტანეთ: თუ იესო ჩვენ არ გაგვაძევებს, არც მათ გააძევებს!

3 ნოემბერი

რიგითი XXXI კვირა [III]

საქართველოში მოღვაწე ყველა გარდაცვლილ
კათოლიკე სასულიერო პირთა მოხსენიების დღე (მ), ი
წმ. მარტინ პოორელი, ბერი, +1639

2022

ხუთშაბათი

ფილიპ 3,3-8; ფს 104; ლკ 15,1-10
(ან, მიცვალებულთა წირვის საკითხავები)

მ. სერაფიმ მერაბიშვილის (+1940), მ. შიო ბათმანიშვილის (+1937),
მ. ლაზარე გოზალიშვილის (+1937?), მ. სტანისლავ კაჭკაჭაშვილისა (+1937) და მ. კონსტანტინე შეშაბერიძის გახსენება

სიხარულია ღვთის ანგელოზებთან ერთი მონანულის ცოდვილის გამო- ლკ 15,10

სიხარული, რომელსაც ანგელოზები იზიარებენ, არის „მამაო ჩვენოს“ სიხარული. მას ახარებს ჩვენი დაბრუნების ხილვა. ჩვენც გავიხარებთ ჩვენს გამო მისი გაბადრული და ბედნიერი სახის ხილვით. დღეს შევეცდები, დავიწყო მოქცევა, მივიღო მისი სურვილები, რათა ჩემები ჩავანაცვლო. ანგელოზები დაინახავენ ღვთის სიხარულს!

4 ნოემბერი

რიგითი XXXI კვირა [III]

წმ. კარლო ბორომეო, ეპ., +1584, (მ), თ

2022

პარასკევი

ფილიპ 3,17 - 4,1; ფს 121; ლკ 16,1-8

ჩვენი მოქალაქეობა ზეცაშია ფილიპ 3,20

წმიდა პავლეს სურს დაგვეხმაროს, ვიცხოვროთ იესოს სიტყვით. ის ხშირად საუბრობდა ცათა სასუფეველზე, ანუ მამისაკენ მიმართულ და მის მიერ მართულ ცხოვრების წესზე, სასუფევლის მეფობაზე. ამაქვეყნის სამეფოებმა არც უნდა მოგვხიბლონ და არც დაგვთრგუნონ: ისინი ადრე თუ გვიან გაქრება. ჩვენ კი შექმნილნი ვართ განსხვავებული სამეფოსათვის, სადაც ყოველი კანონი სიყვარულია.

5 ნოემბერი

რიგითი XXXI კვირა [III], მწ

2022 შაბათი

ფილიპ 4,10-19; ფს 111; ლკ 16,9-15

ჩემი ღმერთი აღავსებს
თქვენს ყოველ საჭიროებას ფილიპ 4,19

ეს ისევ წმიდა პავლეა, რომელიც ენდობა ფილიპეს საკრებულოს. ისინი მას მატერიალურად დაეხმარნენ და კარგადაც მოიქცნენ, რადგან შეძლეს შელეოდნენ მიწიერ სიკეთეს, რათა ხორცი შეესხათ ქმედითი სიყვარულის ნიჭისათვის: ასე ავლენენ ღვთიურ სიცოცხლეს. და ღმერთი მათ თავის მამობას აგემებს.

6 ნოემბერი

რიგითი XXXII კვირადღე, «გ», [IV], მწ

2022 კვირა

2მაკ 7,1-2.9-14; ფს 16; 2თეს 2,16-3,5; ლკ 20,27-38

ღმერთი მკვდრებისა კი არ არის, არამედ ცოცხლებისა ლკ 20,38

შევესწარით სადუკეველთა მიერ აგორებულ დისკუსიას. ამ მდიდრებს, არ სწამთ მომავალი სიცოცხლის. ჰგვანან იმათ, ვინც დღესაც ამბობენ: რომ მოვკვდები, ყველაფერი დასრულდებაო. იესო ასწავლის მათ: სწორედ ის სახელი, რომლითაც ღმერთმა საკუთარი თავი განუცხადა მოსეს, გვარწმუნებს, რომ მკვდრებს ის მკვდრებად არ მიიჩნევს. აბრაამის ღმერთი არაა? მაშ, აბრაამი არ ყოფილა ოდენ ძვლების გროვა!

7 ნოემბერი

რიგითი XXXII კვირა [IV]

2022 ოიშაბათი

ტიტ 1,1-9; ფს 23; ლკ 17,1-6

ფრთხილად იყავით საკუთარ თავზე ლკ 17,3

იესოს გვეუბნება ამას არ იმისათვის, რომ არ გავცივდეთ, არამედ იმიტომ, რომ არავინ დავაბრკოლოთ. სულ ცოტა ხნით ადრე თქვა იგავი მდიდარი კაცისა და ღარიბი ლაზარეს შესახებ. დაბრკოლებას გამოვიწვევთ, თუ ჩვენს სიტყვებსა და ქმედებებში მდიდრებს მეტი წონა ექნებათ ვიდრე ღარიბებს...

8 ნოემბერი

რიგითი XXXII კვირა [IV]

საქართველოს კათოლიკე ეკლესიის
ყველა წმიდანი, (მ), თ

2022

სამშაბათი

ტიტ 2,1-8.11-14; ფს 36; ლკ 17,7-10

ფუბრალლო მონები ვართ ლკ 17,10

მსახური არასოდეს არის უსარგებლო, მაგრამ კვეხნას რომ მოჰყვეს, სანდო მსახური აღარ იქნება. ღვთის წინაშე ჩვენ შვილები ვართ და არა მსახურები. თუ მამას შვილობრივი სიყვარულით არ ვემსახურებით, ჩვენი მსახურება მართლაც უსარგებლოზე უარესი იქნება.

9 ნოემბერი

ლატერანის ბაზილიკის კურთხევა, დ, [ს], თ

2022 ოთხშაბათი

ეზეკ 47,1-2.8-9.12, ან, 1კორ 3,9გ-11.16-17; ფს 45; იო 2,13-22

ნუთუ არ იცით, რომ ღვთის ტაძარი ხართ და ღვთის სული ცოცხლობს თქვენში? 1კორ 3,16

დღეს ჩვენ ვლოცულობთ რომის პაპთან ერთად, რომელიც აღნიშნავს თავისი საკათედრო ბაზილიკის დღესასწაულს. ქვის შენობის დღესასწაული მხოლოდ იმისთვისაა, რომ სიხარულით გავიხსენოთ, რომ ღმერთი არ მკვიდრობს ქვებში, არამედ ხორციელ გულებში. ადამიანები, ჩვენ ვართ, ღვთის სამყოფელი, ღვთისა, რომელიც სიყვარულია. იგი აცხადებს თავის თავს სწორედ იმ სიყვარულის საშუალებით, რომელსაც ჩვენ ვასხამთ ხორცს.

10 ნოემბერი

2022

რიგითი XXXII კვირა [IV]

წმ. ლეონ დიდი, პაპი და მოძ., +461, (მ), თ
(28.X) წმ. მღვდელმოწამე ნეოფიტე უიბნელი, VIIს.

ხუთშაბათი

ფილიმ 7-20; ფს 145; ლკ 17,20-25

მისი ხვედრია
მრავალი ტანჯვის ატანა ლკ 17,25

იესო საუბრობს ღვთის სამეფოზე, რომელიც ხალხს ეგონა მიწიერ სამეფოთა მსგავსი. არადა, ის სულ სხვაა. მართლაც, მეფეს ტაში და ფიანდაზი კი არ ელის, არამედ უარყოფა და ტანჯვა. ამიტომ, მის მოწაფეებს მართებთ შინაგანი მზაობა, მოიკრიბონ ძალები და მოტივაციები.

11 ნოემბერი

2022

რიგითი XXXII კვირა [IV]

წმ. მარტინ ტურსელი, ეპ., +397, (მ), თ
(29.X) წმ. ღიხსი სეხაპიონ ზაიზმეღი, აბატი, +900

პარასკევი

2იო 1.3-9; ფს 118; ლკ 17,26-37

იარებოდეთ სიყვარულში 2იო 1,6

წმიდა იოანე ამ შეგონებას სთავაზობს ქრისტიანებს, რომლებიც უკვე ქეშმარიტებაში დადიან. ისინი იცნობენ იესოს, მის საიდუმლოებს სიღრმისეულად ჩასწვდნენ, მაგრამ არ უნდა დაავიწყდეთ, რომ ის არის მამის სიყვარული და მხოლოდ სიყვარულით თუ შეძლებენ სამყაროსთვის მის გამოცხადებას.

12 ნოემბერი

2022 შაბათი

3იო 5-8; ფს 111; ლკ 18,1-8

ოთხრა მათ იგავი იმის შესახებ, რომ ყოველთვის უნდა ილოცონ ლკ 18,1

ყოველთვის უნდა ილოცო! იცი ეს რას ნიშნავს? ადამიანებს, როგორც ამ მოსამართლეს, სჭირდებათ ჩიჩინი, რათა ხელი გაანძრიონ. ღმერთს კი უხარია, როცა ხედავს, რომ სიყვარულით მუდამ მისკენ ვართ მიმართულნი, რათა მის სიყვარულს დავემსგავსოთ. მუდამ ლოცვა ნიშნავს მუდამ მის მკლავებში ყოფნას.

13 ნოემბერი

რიგითი XXXIII კვირადღე, «გ», [I], მწ

2022 კვირა

მალ 3,19-20; ფს 97; 2თეს 3,7-12; ლკ 21,5-19

უპოვართა მსოფლიო დღე

მოთმინებით მოიპოვეთ თქვენი სული ლკ 21,19

იესო ბოლო მითითებებს აძლევს თავის მოწაფეებს. მოსასმენად რთული ინსტრუქციებია. ყოველთვის იქნება ის, ვინც ეცდება მათ მოტყუებას. ამიტომ ისინი ფრთხილად იქნებიან: გზა ჯვრის გარეშე არ იქნება ნამდვილი, რადგან ის, მოძღვარი და თავად უფალი, ყოველთვის ატარებს თავის მხრებზე ამქვეყნიური სიძულვილის ჯვარს.

14 ნოემბერი

რიგითი XXXIII კვირა [I], მწ

2022 ოიშაბათი

გამოცხ 1,1-4; 2,1-5; ფს 1; ლკ 18,35-43

მთელი ხალხი ხედავდა ამას
და აქებდა ღმერთს ლკ 18,43

რა დაინახა ხალხმა? მან დაინახა ბრმა კაცი, რომელიც გაჰყვა იესოს სხვების დახმარების გარეშე. ის ბრმა მათხოვარი მოჰყვა ყვირილს ისე, რომ არ მოერიდა, რას იტყოდა ხალხი მის რწმენაზე. ასეთი რამ ბაგეს უხსნის ადამიანს, რათა მართლა ადიდოს ღმერთი!

15 ნოემბერი

რიგითი XXXIII კვირა [I], მწ

წმ. აღბერტ დიდი, ეპ. და მოძ., +1280

2022 სამშაბათი

გამოცხ 3,1-6.14-22; ფს 14; ლკ 19,1-10

ჩემი ქონების ნახევარს
ღარიბებს მივცემ ლკ 19,8

რა გადაწყვეტილებაა! საოცრება არ არის, რომ მდიდარმა გადაწყვიტა გაღარიბდეს? რამ უბიძგა მას ამ ნაბიჯზე? სიყვარულის ჟესტმა. გახსნილმა გულმა. ყურადღებამ. იესო ენდო მას და უთხრა: მართლა გინდა ჩემი ნახვა? მაშ, შენს სახლში მოვდივარ. შენთან საჭმელად მოვდივარ. და ზაქე აღმოჩნდება გათავისუფლებული სიხარბის ეშმაკისაგან.

16 ნოემბერი

რიგითი XXXIII კვირა [I], მწ

სნეულთა მფარველი ღმერთისმშობელი;
წმ. მარგარიტა შოტლანდიელი, +1093;
წმ. გერტრუდა, ქაღწ., +1302

2022 ოთხშაბათი

გამოცხ 4,1-11; ფს 150; ლკ 19,11-28

ვიდრე დავბრუნდებოდე, ივაჭრეთ ლკ 19,13

ახლა რომ დაბრუნდე, იესო, მექნება კი რაიმე „ნაყოფი“ შენთვის მოსართმევად? არ ვიცი... ამიტომ მინდა ყოველი დღე თავიდან დავიწყო და ყოველ ჯერზე განვაახლო ნება, რომ ყველა-ფერი გავაკეთო, თუნდაც სულ უმნიშვნელო რამ, შენი გულისთვის. მაშინ ნაყოფიც იქნება: სიყვარულის, მშვიდობის, პატიების ნაყოფი...

17 ნოემბერი

2022

წმ. ელისაბედ უნგრელი, მონ., +1231, (მ), თ

(4.XI) წმ. იოანე, სტეფანე და ესაია, მონაზონნი, ქრისტეს საფლავის მოღვაწენი

ხუთშაბათი

გამოცხ 5,1-10; ფს 149; ლკ 19,41-44

წმ. ელისაბედის დების დღესასწაული

როცა მიუახლოვდა და დაინახა ქალაქი, ატირდა მის გამო ლკ 19,41

იესოს სიყვარული ადამიანთა მიმართ არ წყდება, მიუხედავად იმისა, რომ მათგან უარი ელის. მისი მამობრივი და დედობრივი გული იტანჯება და წუხს მათი სულის სიხისტისა და გაპარტახების გამო. იესო, ჩემი ცხოვრებით მინდა განუგეშო!

18 ნოემბერი

წმიდანთა პეტრე და პავლე მოციქულთა ბაზილიკათა კუთხევა

2022 პარასკევი

გამოცხ 10,8-11; ფს 118; ლკ 19,45-48

ჩემი სახლი სამლოცველო სახლი უნდა იყოს ლკ 19,46

უფალო იესო, მოდი ჩემს გულში დღეს; გევედრები, მოაწესრიგე ჩემი გრძნობები, ჩემი აზრები, პიველ ადგილზე მამა დააყენე! გამომიბრწყინე მისი სახე, ცოცხალი და შვილობრივი იყოს ჩემი ურთიერთობა მასთან; მაშინ ჩემი გული იქცევა მის სამყოფელად და ჩემი ნამოქმედარიც მას განადიდებს.

19 ნოემბერი

რიგითი XXXIII კვირა [I], მწ

2022 შაბათი

გამოცხ 11,4-12; ფს 143; ლკ 20,27-40

ხოლო მკვდრები რომ აღდგებიან,
ეს მოსემაც მიანიშნა ლკ 20,37

მოსემ დაადასტურა, რომ ცოცხალმა ღმერთმა, მას რომ ესაუბრა და შეცვალა მისი ცხოვრება, საკუთარ თავს "აბრაამის ღმერთი" უწოდა. აბრაამი რომ მხოლოდ ძვლების გროვა ყოფილიყო, რანაირი ღმერთი იქნებოდა? მართლაც სასაცილო! თუ ღმერთი ცოცხალია, აბრაამიც ცოცხალია: ის ცოცხლობს იმ სიცოცხლით, რომელიც ჩვენთვის ჯერაც უცნობია და ამიტომ მას "აღდგომას" ვუწოდებთ.

20 ნოემბერი

რიგითი XXXIV კვირადღე,
უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი,
სამყაროს მეფისა, «გ», დდ, [ს], თ

2022 კვირა

2მეფ 5,1-3; ფს 121; კოლ 1,12-20; ლკ 23,35-43

ლიტურგიული წელიწადის ბოლო კვირა
ახალშენის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

იესო, გამიხსენე ლკ 23,42

ეს არის ჯვარზე მომაკვდავი ცოდვილის სიტყვები. იესოც მის მსგავსად მომაკვდავია. ეს ცოდვილი დარწმუნებულია, რომ იესო იცოცხლებს და იცოცხლებს, როგორც ახალი სამეფოს მეფე. მეც მინდა ვაღიარო ეს რწმენა: იესო არის მეფე სამუდამოდ. ამიტომ მას დავყვები, თუნდაც აბუჩად ამიგდონ იმათ, ვინც მას დასცინეს.

21 ნოემბერი

ნეტ. ქალწ. მარიამის ტაძრად მიყვანა (მ), თ

2022 ოთხშაბათი

გამოცხ 14,1-3.4-5; ფს 23; ლკ 21,1-4

ამ ღარიბმა ქვრივმა
ყველაზე მეტი ჩადო- ლკ 21,3

ყველაზე მეტი? რა თქმა უნდა! დანარჩენებმა ჩაყარეს ოქრო, ფული, ამქვეყნიური სიმდიდრე. მან ჩადო სიყვარული, რწმენით მდიდარი სიყვარული და ღვთის სასოება. მან ამ ჟესტით აღიარა, რომ ღმერთი ჭეშმარიტი, სანდო მამაა, რომელსაც შეუძლია ღარიბების სიყვარული.

22 ნოემბერი

რიგითი XXXIV კვირა [II]

წმ. ცეცილია, ქალწ. და წამ., +~250, (მ), წ

2022 სამშაბათი

გამოცხ 14,14-19; ფს 95; ლკ 21,5-11

გაფრთხილდით, რომ არ შეცდეთ ლკ 21,8

უფალო იესო, ახლა უკვე ვუწყი საკუთარ უძლურებას და ჩემს უვიცობას. შენ რომ არ მყავდე, რომელიც მამასავით ზრუნავ ჩემს ხსნაზე, მუდამ შიშში მომიწევდა ყოფნა! შენ კი მავალებ, არასოდეს ამომივარდეს გულიდან შენი სიტყვები, და არასოდეს დავშორდე შენს ეკლესიას!

23 ნოემბერი

(10.XI) წმ. გიორგი წამებული, დ, [ს], წ

წმ. კლემენტ I, პ. და წამ., +101; წმ. კოლუმბან, აბ. +615;
(10.XI) წმ. დიდმოწამე კონსტანტი-კახი, +852

2022 ოთხშაბათი

2მაკ 6,18-23, ან, ფილიპ 1,20-30; ფს 33; მთ 10,28-33

გიორგობა. უდეში „პირდაპირების“ სამლოცველოს დღეობა

მოთმინებით მოიპოვეთ
თქვენი სული ლკ 21,19

იესო უწინასწარმეტყველებს დევნას მათ, ვინც
მას მიჰყვება და სიყვარულით ემსახურება;
მაგრამ მისი ერთგულება არის
მისი დამოწმების შესაძლებლობა და
მშვიდობისა და ხსნის წყარო.
სულო წმიდაო, გმადლობთ, შემწეობისათვის!

24 ნოემბერი

2022

რიგითი XXXIV კვირა [II]
წმმ. ანდრია დუნგ-ლაკი ხუც. და მეგ.,
ვიეტნამელი წამებულნი, XVI-XVIIIსს. (მ), წ

ხუთშაბათი

გამოცხ 18,1-2.21-23; 19,1-3.9; ფს 99; ლკ 21,20-28

ხსნა, დიდება და ძალა
ჩვენი ღვთისაა *გამოცხ 19,1*

დიდძალი ხალხი გალობს ამ სიმღერას. მეც მინდა შევუერთო მათ ჩემი ხმა, რადგან ჭეშმარიტად ღვთის მოქმედება ჩემს ისტორიაში არის განწმედა წუთისოფლის ბოროტებისგან, ცოდვებისგან, ძირს რომ უთხრის სიყვარულს, სიმდიდრის სიცრუისაგან. ჩვენმა ღმერთმა მოავლინა იესო ჯვრითა და აღდგომით ჩვენს სახსნელად.

25 ნოემბერი

რიგითი XXXIV კვირა [II], მწ

წმ. ეკატერინე აღექსანდრიელი, ქაღწ. და წამ., +III-IV სს

2022 პარასკევი

გამოცხ 20,1-4.11 - 21,2; ფს 83; ლკ 21,29-33

განკითხულ იქნენ მკვდრები
მათი საქმეებისამებრ გამოცხ 20,12

გამოცხადების წიგნი უცნაური წიგნია. არიან ისეთებიც, ვისაც წაკითხვისას შიში ეუფლება, არადა ის დაიწერა მორწმუნეთა სანუგეშებლად და გასახარად. ჩვენ განვისჯებით ჩვენი საქმეებით. რომელი საქმეებით? რომელ საქმეებს ამჩნევს მსაჯული ღმერთი? ის ხედავს როგორ შევიყვარეთ იესო და მისი გულისათვის შევიყვარეთ ძმები და ვატარეთ მისი ჯვარი. მისი გულისათვის გავერთიანდით ეკლესიაში. სიხარულით გავემართოთ ამგვარ სამსჯავროზე!

26 ნოემბერი

რიგითი XXXIV კვირა [II], მწ

2022 შაბათი

გამოცხ 22,1-7; ფს 94; ლკ 21,34-36

ყოველთამს იფხიზლეთ და ილოცეთ ლკ 21,36

როდესაც ჩემი გულისყური შენსკენაა მოპყრობილი, იესო, შენს ჩვენთვის და ჩვენთან ყოფნაზე, შენს ნებაზე, მაშინაა რომ ვარ მღვიძარე, აქ ვიმყოფები. მოდი, სულო წმიდაო, გახელილი თვალი მქონდეს მიპყრობილი იესოსაკენ: ყოველივე მასზე მითხრობდეს და მისკენ მიმაქცევდეს, რადგან მის გარეშე ყოველივე ამაოება და სიყალბეა!

27 ნოემბერი

ადვენტის I კვირადღე, «ა», [I], ი

2022 კვირა

ეს 2,1-5; ფს 121; რომ 13,11-14; მთ 24,37-44

ახალი ლიტურგიული წლის დასაწყისი

მზად იყავით! მთ 24,44

მზად რისთვის? ბატონთან სიყვარულით შეხვედრისათვის. „ბატონმა“ პასუხისმგებლობა დამაკისრა, რითაც დიდი ნდობა გამომიცხადა. მოუთმენლად ველოდები მის დაბრუნებას, რათა ჩემი ერთგულება დავახვედრო მას!

28 ნოემბერი

2022 ოთხშაბათი

ეს 4,2-6; ფს 121; მთ 8,5-11

მოვალ და განვკურნავ მას მთ 8,7

იესოს პასუხი მზადა აქვს. მტკიცე რწმენით მეც მივმართავ იესოს ჩემს სათხოვარზე. თუკი ჩემი ნამდვილი სიკეთე მოითხოვს ამას, დარწმუნებული ვარ, რომ იგი არ მალოდინებს. როგორც ასისთავმა, მეც არ მინდა მოვთხოვო უფალს იმაზე მეტი, რაც მას შეუძლია, როგორც არ შეიძლებოდა მოგეთხოვა მისთვის წარმართის სახლში შესულიყო, ასევე არ შემიძლია მოვითხოვო, რომ მან კვერი დამიკრას ყოველივეზე, რაც გავაკეთე. მიუხედავად ამისა, ჩემს სათხოვარს იმედიანად წარვუდგენ მას.

29 ნოემბერი

2022 სამშაბათი

ეს 11,1-10; ფს 71; ლკ 10,21-24

ნეტარია თვალები, რომელნიც ხედავენ, რასაც თქვენ ხედავთ ლკ 10,23

ადვენტში ვიმყოფებით: ველოდებით ახალი სახისა და ხმის დანახვასა და მოსმენას. როცა დავინახავთ და მოვისმენთ, ვიქნებით ნეტარნი, რადგან ერთნი ვიქნებით მამა ღმერთთან, მასთან, ვინც ხედავს ძის სახეს და ისმენს მის ხმას.

30 ნოემბერი

2022

წმ. ანდრია, მოციქული, დ, [ს], წ

(17.XI) წმმ. მიქაელ-გობჰონი და 133 მხედარი, +914

ოთხშაბათი

რომ 10,9-18; ფს 18; მთ 4,18-22

ბეთლემის (ახალხიზა) კათოლიკური ეკლესიის დღეობა

მომფენი მე მთ 4,19

დღეს წმიდა მოციქული ანდირას ზეიმი გვიდგას, მის გულში და მის ბაგეებზე ცოცხლად ჟღერდა იესოს სიტყვა! იგი შეეწიოს და აკურთხოს მწყემსნი, რომელნიც დღეს ეკლესიაში გვაწვდიან უფლის სიტყვას და ჩვენც ყველანი, რომლებიც რწმენით და სიყვარულით ვიღებთ ამ სიტყვას, სიცოცხლეს რომ გვანიჭებს!